186
1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1979 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1979 წ.

16363

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

63. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 იანვრის № 34 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
64. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან უმაღლესი კატეგორიის სინქრონული თარგმნის სპეციალისტთა უმაღლესი კურსების ორგანიზაციის შესახებ.
65. წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.
66. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

67. საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულების დამტკიცების შესახებ.

მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთ.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

68. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

69. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 593 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

70. მცხეთის რაიონის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან ქ. თბილისის პირველი ვაისის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში ორგანიზაცია-დაწესებულებების, დასახლებული პუნქტების გადაცემისა და მცხეთის რაიონის სოფ. მწვანემშენის გაუქმების შესახებ.

71. საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ „წითელ წიგნში" შეტანილი იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი ხეებისა და ბუჩქნარების უკანონო ჭრით და გარეული ცხოველების უკანონო მოპოვებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

72. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.

73. აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელმწიფო პრემიის დაწესების შესახებ.

74. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის, აგრეთვე მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

63 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 იანვრის № 34 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

„კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 იანვრის № 34 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს ამიერიდან ეწოდოს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.	**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 20 ნოემბერი, № 787

64 თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან უმაღლესი სინქრონული თარგმნის სპეციალისტთა უმაღლესი კურსების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობისა და დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში მათი მონაწილეობის ზრდასთან. უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაფართოვდა კულტურული გაცვლა, მკვეთრად გაიზარდა რესპუბლიკაში ჩატარებული საერთაშორისო და საკავშირო სამეცნიერო სიმპოზიუმების, თეორიული კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებათა რაოდენობა.

ამავე დროს არსებული მთარგმნელთა კადრების რაოდენობა და მათი ნაწილის პროფესიული დონე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— მოაწყოს 1980/81 სასწავლო წლიდან თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან ქართულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად, ქართულიდან აფხაზურად და აფხაზურიდან ქართულად, ქართულიდან ოსურად და ოსურიდან ქართულად, ხოლო 1981/82 სასწავლო წლიდან — რუსულიდან ინგლისურად და ინგლისურიდან რუსულად, რუსულიდან ფრანგულად და ფრანგულიდან რუსულად, რუსულიდან გერმანულად და გერმანულიდან რუსულად სინქრონული თარგმნის სპეციალისტთა მოსამზადებელი ორწლიანი კურსები;

— სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით გაგზავნოს მოსკოვის მ. ტორეზის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული და უცხო ენების მასწავლებელთა ჯგუფი სტაჟირებისათვის და სინქრონული თარგმნის სპეციალისტთა მომზადების ორგანიზაციის გამოცდილების შესასწავლად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ 1980/81 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის შრომის ლიმიტებისა და ხელფასის ფონდის გამოყოფა კურსების შესანახად (მოსწავლეთა კონტინგენტი — 100 კაცი).

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხთა კომისიამ წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კურსების ტექნიკური აღჭურვისათვის მოწყობილობისა და აპარატურის შესაძენად საჭირო ვალუტის გამოყოფის შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ 1980-1981 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის საჭირო ლიმიტებისა და ფონდების გამოყოფა კურსებისათვის ტექნიკური მოწყობილობისა და შესაბამისი მასალების შესაძენად, დანართის თანახმად.

5. კურსების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა დაწესდეს შემდეგი შეფარდებით: ერთი მასწავლებელი შვიდ მოსწავლეზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინოს შესაბამის ასიგნებათა გამოყოფა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის.

6. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ვაშაძე) განახორციელოს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის კაპიტალური რემონტი, იმ ვარაუდით, რომ 1980 წლის 1 სექტემბერს დაიწყოს სინქრონული თარგმნის სპეციალისტთა მომზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორამ (ამხ. ჯაფარიძე) დაამთავროს 1980 წლის 1 იანვრისათვის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება (სამშენებლო ნაწილი).

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინონ თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კულტურის სასახლეში ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს 1980 წლის 1 აგვისტოსათვის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა პროექტის შედგენა, მოწყობილობის მონტაჟი და საჭირო აუდიტორიების მომზადება, ამასთან გამოყოს შესაბამისი რაოდენობის შტატები სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

10. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატმა სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და შეუთანხმონ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ღონისძიებანი და მასალები სინქრონული თარგმნის სპეციალისტთა უმაღლეს კურსებზე სასწავლო-მეთოდური პროცესის ორგანიზაციისათვის (სასწავლო გეგმები, პროგრამები და ა. შ.).

11. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეიძინოს საჭირო რაოდენობის მოწყობილობა და ტექნიკა შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებისას სინქრონული თარგმნის ტრანსლაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 20 ნოემბერი № 810

65 წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის განუხრელი ამაღლების, თანამედროვე წარმოების განვითარების ტემპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის გაძლიერების ამოცანები მოითხოვენ მშრომელთა განათლების, უშუალოდ წარმოებაში მუშათა მომზადების, გადამზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და კვალიფიკაციის ამაღლების დონის განუწყვეტელ ზრდას. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობის გამოცდილება შეიძინეს ამ დარგში, შექმნეს მასწავლებელთა, საწარმოო სწავლების ოსტატთა და ინსტრუქტორთა კვალიფიციური კადრები.

მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე უშუალოდ წარმოებაში ახალი პროფესიები შეისწავლა 178,5 ათასმა კაცმა, 434,9 ათასზე მეტმა მუშამ, აიმაღლა თავისი კვალიფიკაცია და ეკონომიკური ცოდნის დონე. თვისებრივი ცვლილებები მოხდა კადრების მომზადების მეთოდებში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში მუშათა საკურსო სწავლების ხვედრითი წონა 1971 წლის 20,4 პროცენტიდან გაიზარდა 26 პროცენტამდე 1978 წელს.

ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისა და იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში არსებითი წვლილი შეაქვს 20 ათასზე მეტ დამრიგებელს.

ამასთანავე წარმოებაში კადრების პროფესიული სწავლებისათვის მუშაობის დონე, როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 21 ივნისის № 586 დადგენილებაში „წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ", ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს.

ამ საკითხის მზარდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოს სსრ ბევრი სამინისტრო და უწყება არ იღებს ჯეროვან ზომებს მუშათა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით მუშახელის უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, სუსტად უწევს კონტროლს ამ მუშაობის მდგომარეობას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, იშვიათად განიხილავს კოლეგიათა სხდომებზე წარმოებაში მუშათა სწავლების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, გაერთიანება და საწარმო ჯეროვნად არ ზრუნავს იმისათვის, რომ შექმნას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სასწავლო-საწარმოო ბაზა, აღჭურვოს იგი მოწყობილობით, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებებით, ნელა ავითარებს სასწავლებელთა ქსელს სწავლების საკურსო მეთოდით მუშათა მოსამზადებლად. მუშათა პროფესიული სწავლება ჩამორჩება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს.

რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში არ გააჩნიათ მთელ რიგ პროფესიებში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტიპობრივი პროგრამები, დაუსაბუთებლად ამცირებენ სწავლების ვადებს, დამოუკიდებელ სამუშაოზე უშვებენ ისეთ პირებს, რომელთაც არ გაუვლიათ პროფესიული მომზადება, არღვევენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში თანამიმდევრობასა და უწყვეტობას, ყოველთვის დროულად როდი უზრუნველყოფენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოების ნოვატორთა შრომის ხერხებისა და მეთოდების შესწავლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი საბაზო სამინისტრო და უწყება, გაერთიანება, საწარმო-ორგანიზაცია ნელა ახორციელებს ღონისძიებებს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა სასწავლო-საწარმოო ბაზის განმტკიცებისათვის, არ უწევს სახალხო განათლების ორგანოებს ჯეროვან დახმარებას სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციაში, რაც მოსწავლეთა შრომითი ჩვევების ფორმირების, მათი პროფესიული და სოციალური ორიენტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ხშირად უშვებენ შეჭწყნარებლურ დამოკიდებულებას საწარმოებსა და ორგანიზაციებში კადრების მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისადმი, არ იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას სამეურნეო ხელმძღვანელთა მიმართ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების გაუმჯობესებისათვის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებში.

რესპუბლიკაში შექმნილი არ არის სახალხო მეურნეობისათვის მასობრივი პროფესიების კვალიფიციური კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემა, არ მუშავდება მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის, მშენებლობისათვის, მომსახურების სფეროსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის მასობრივი პროფესიების კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული წლიური და ხუთწლიანი გეგმები.

მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის მიზნით და „წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 21 ივნისის № 586 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ღრმად გააანალიზონ მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მდგომარეობა, შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი კადრების პროფესიული სწავლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, სასწავლო-საწარმოო ბაზის განმტკიცებისათვის, სწავლების მეთოდების სრულყოფისათვის, კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ახალგაზრდა მუშათა კვალიფიკაციისა და ოსტატობის განუწყვეტელი ზრდისათვის აუცილებელი საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, რათა თითოეული მუშის მიერ შეძენილი და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული ცოდნა შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, წარმოების ყველაზე ეფექტიანი განვითარების ინტერესებს, ხელს უწყობდეს მუშაობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევას.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— გააძლიერონ მომთხოვნელობა გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მათთვის შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების სწავლების საქმეში;

— გააუმჯობესონ უშუალოდ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების დაგეგმვა მუშახელზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გათვალისწინებით;

— წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული გეგმების პროექტები იმისათვის, რათა შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა და გადამზადების, წარმოებაში მასობრივი პროფესიების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული წლიური და ხუთწლიანი დავალებანი;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაუწესონ საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების წლიური დავალებანი ქალთა კვალიფიკაციის ამაღლების დავალებების გამოყოფით;

— უზრუნველყონ საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით მუშათა მომზადების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავება კვალიფიციურ მუშებზე დამატებითი მოთხოვნილების საბალანსო გაანგარიშებისა და მისი უზრუნველყოფის წყაროების საფუძველზე;

— დააწესონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდულობა წარმოების დამკვიდრებული პირობებისა და მუშათა კვალიფიკაციის თანამიმდევრული და განუწყვეტელი ამაღლების აუცილებლობის გათვალისწინებით;

— უზრუნველყონ იმ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, რომლებიც მუშაობენ კადრების პროფესიული სწავლების საკითხებზე საქვეუწყებო გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— დაუწესონ 1981-1985 წლებისათვის საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოებაში კადრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასწავლო-საწარმოო ბაზის გაფართოების (მშენებლობის) დავალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სასწავლო-საწარმოო ბაზის გაფართოება (მშენებლობა) ეროვნული ხორციელდეს სახალხო მეურნეობის იმ დარგების საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რომლებისთვისაც მიმდინარეობს კადრების სწავლება.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს გამოყონ ამ მიზნებისათვის საჭირო სახსრები:

— მიიღონ ზომები წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემისათვის სასწავლო ხელსაწყოების, მოწყობილობისა და ტექნიკური საშუალებების წარმოების გასაფართოებლად;

— მეტი დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის შემდგომი გაფართოების, ტექნიკით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, მოწყობილობით, ინსტრუმენტებითა და მასალებით მათი უზრუნველყოფის საქმეში; გაგზავნონ ამ კომბინატებში სამუშაოდ მოწინავე ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები.

3. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა დაამტკიცონ კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა და გადამზადების, წარმოებაში მასობრივი პროფესიების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების წლიური გეგმები მხოლოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

4. გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა სისტემატურად გააუმჯობესონ სასწავლო ქსელის აღჭურვა საჭირო თანამედროვე მოწყობილობითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინოებებითა და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურით, გააქტიურონ სატარიფო-საკვალიფიკაციო კომისიებისა და სასწავლო-მეთოდური საბჭოების მუშაობა.

5. კვალიფიციურ მუშათა მომზადების დარგში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების, ამ დარგში რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის კოორდინაციის უზრუნველყოფის, წარმოებაში მუშათა სწავლების სამეცნიერო-მეთოდიკური და ორგანიზაციული პრობლემების ყოველმხრივი შესწავლის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნას აღნიშნულ კომიტეტთან მუშათა პროფესიულ-ტექნიკური განათლების, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭო.

დაწესდეს, რომ საუწყებათაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა იმ სამინისტროსა და უწყებისათვის, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც ახორციელებენ მუშათა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

— ერთი თვის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს მუშათა პროფესიულ-ტექნიკური განათლების, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საუწყებათაშორისო საბჭოს დებულება და მისი შემადგენლობა;

— განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შეიქმნას წარმოებაში მასობრივი პროფესიების მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკოორდინაციო სპეციალური სამმართველო, ამასთან გამოყოს აღნიშნული სამმართველოსათვის საჭირო რაოდენობის საშტატო ერთეულები;

— შემოიღოს დამატებით საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის — ზემოაღნიშნული სამმართველოს უფროსის თანამდებობა;

— განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატში შეიქმნას შრომითი რესურსების ბალანსის, მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებისა და გადამზადების დამოუკიდებელი განყოფილება.

7. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებათა და საწარმოთა დირექტორებთან ერთად:

— შეიმუშაოს რესპუბლიკაში მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის, მშენებლობისათვის, მომსახურების სფეროსა და სხვა დარგებისათვის მასობრივი პროფესიების კადრების მომზადების მკაფიო სქემა და 3 თვის ვადაში წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— შეიმუშაოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით და უშუალოდ წარმოებაში სახალხო მეურნეობის დარგებისათვის მასობრივი პროფესიების კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი გეგმები მეთერთმეტე ხუთწლედისათვის და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 1 ივლისისათვის;

— უზრუნველყოს საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლე მუშათა კონტინგენტის გადიდება, უფრო სრულად გამოიყენოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები წარმოებაში მოსამზადებელ მუშათა თეორიული სწავლებისათვის, გააუმჯობესოს მუშაობა იმ მხრივ, რომ აღმოუჩინოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს მეთოდური დახმარება უშუალოდ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების საქმეში.

8. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— განახორციელონ 1983 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემის კადრებისა და სასწავლო-საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზების ერთდროული აღრიცხვა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკურ-სამმართველოს პროგრამის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განაზოგადოს ამ ერთდროული აღრიცხვის შედეგები;

— ყოველწლიურად წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს მონაცემები უშუალოდ წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმების შესრულების შესახებ.

9. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გააფართოონ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების პრობლემებზე კვლევის თემატიკა და უზრუნველყონ მეცნიერული ნამუშევრების შედეგების უფრო ეფექტიანად დანერგვა პრაქტიკაში.

10. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციამ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ, მოყოლებული 1980 წლიდან, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის მოწინავე გამოცდილების სისტემატური ჩვენება და ფართო პოპულარიზაცია.

11. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ 1980 წლიდან წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემისათვის მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდიკური და თვალსაჩინო საშუალებების გამოცემის გადიდება.

12. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ღრმად და ყოველმხრივ გააშუქონ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების საკითხები, ამ დარგში მოწინავე გამოცდილება.

13. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყონ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობა წარმოებაში მუშათა, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და ქალების, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სრულყოფის, თითოეულ კოლექტივში მათი პროფესიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის განუწყვეტელი ზრდისა და საჭირო პირობების შექმნის, მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საზოგადოებრივი ფორმებისა და ახალგაზრდობის დამრიგებლობის ძოძრაობის ფართოდ განვითარების საქმეში.

14. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ მუდმივი ზრუნვა მუშათა კლასის პროფესიული ოსტატობის, კულტურული და ზოგადსაგანმანათლებლო დონის განუხრელი ამაღლებისათვის, ახალგაზრდობის სოციალური და პროფესიული ორიენტაციის ფორმირებისათვის, გააძლიერონ კონტროლი წარმოებაში მუშათა სწავლების სისტემის სრულყოფისადმი, მუშაობის ამ უბნის მაღალკვალიფიციური კადრებით განმტკიცებისადმი, ისეთი პირობების შექმნისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრესული ფორმების გამოყენებას და მუშათა მომზადების მაღალ ხარისხს, გააძლიერონ მომთხოვნელობა გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი ამ მუშაობის მდგომარეობის საკითხებში.

15. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 21 ივნისის № 586 დადგენილებით:

— დაევალათ:

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს — სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს 1979-1980 წლებში ღონისძიებანი დარგობრივი სასწავლო-მეთოდური ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ დაეკისროთ მათ წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების ტიპობრივი სასწავლო-მეთოდიკური დოკუმენტაციის შემუშავება სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგებისათვის საერთო პროფესიებში, აგრეთვე ამ დოკუმენტაციით გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა;

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს — საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 6 თვის ვადაში გადასინჯონ და დაამტკიცონ ტიპობრივი დებულება წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების შესახებ;

სამინისტროებსა და უწყებებს — დაამტკიცონ 1980 წელს დარგობრივი დებულებანი წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების შესახებ, სასწავლო-საწარმოო ბაზის შექმნის ნორმატივები და კადრების სწავლებით დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის ნორმატივები;

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს — სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განსაზღვროს 1980 წელს სასწავლო ხელსაწყოების, მოწყობილობისა და ტექნიკური საშუალებების ნუსხა ცენტრალიზებული დამზადებისათვის და შეიმუშაოს ღონისძიებანი აღნიშნული ხელსაწყოებით, მოწყობილობითა და ტექნიკური საშუალებებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, ხოლო საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარუდგინოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — განსაზღვროს 1980 წლის 1 ივნისამდე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით წარმოებაში მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოსაყოფი სახსრების დაგეგმვის წესი და ამ მიზნით ხარჯების დაფინანსების წყაროები; ვადასინჯოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით ანგარიშგება წარმოებაში კადრების სწავლებისათვის სახსრების ხარჯვის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს ამ ხარჯების უფრო სრული აღრიცხვის უზრუნველყოფა;

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს — მოაწყოს 1980 წლიდან შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის საკავშირო სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების იმ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებიც მუშაობენ წარმოებაში კადრების პროფესიული სწავლების საკითხებზე.

დაწესდა, რომ აღნიშნულ პირთა, აგრეთვე წარმოებაში კადრების პროფესიული სწავლების სისტემის სასწავლო-საკურსო კომბინატებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელ და პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს — მოამზადოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად, სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით წინადადებანი პროფესიული სწავლების პერიოდში მოსწავლეთა, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განმხორციელებელ კვალიფიციურ მუშათა, აგრეთვე მუშაობისაგან მოწყვეტით სასწავლებლად გაგზავნილ მუშათა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და წესის შესახებ; სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — გაითვალისწინონ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში შესაბამისი ხარჯები ამ მიზნებისათვის;

— დაწესდა, რომ მუშა ქალები, რომელთაც ჰყავთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები, გადამზადებას გაივლიან და კვალიფიკაციას აიმაღლებენ მუშაობისაგან მოწყვეტით და სწავლების დროს შეუნარჩუნდებათ საშუალო-თვიური ხელფასი;

— დაწესდა 1980 წლიდან წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-საკურსო კომბინატების მასწავლებელთათვის სასწავლო დატვირთვა დღეში 3 საათი სამასწავლებლო მუშაობის მოცულობით; ძირითადი სამუშაოსაგან გაუთავისუფლებელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ინდივიდუალური სწავლებისას მუშათა (მოსწავლეთა) კონსულტაციებისათვის შრომა აუნაზღაურდებათ საათობრივი ანაზღაურების პირობებით იმ ვარაუდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერთ მუშაზე (მოსწავლეზე) მოდიოდეს თეორიული სწავლებისათვის გათვალისწინებული სასწავლო საათების საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე;

— წარმოებაში კადრების პროფესიული სწავლების სისტემის სასწავლო-საკურსო კომბინატებისა და სხვა სასწავლებლების მუშაკებზე, რომლებიც ახორციელებენ კადრების ცენტრალიზებულ მომზადებას, გავრცელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 3 იანვრის № 3 დადგენილების მე-9 პუნქტით განსაზღვრული პრემიების წესი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 6 დეკემბერი, № 830

66 საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის შექმნის შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. შეიქმნას ქალაქ თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი.

განისაზღვროს აღნიშნული ინსტიტუტის მსმენელთა კონტინგენტი წელიწადში 400-450 კაცით.

2. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს:

— ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება მართვისა და დაგეგმვის დარგში, მათ მიერ წარმოების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების ათვისება ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარება მსმენელებში;

— მართვისა და დაგეგმვის დარგში ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ცენტრების საქმიანობის მეთოდური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, აგრეთვე წინადადებათა შემუშავება ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ოპერაციების კვლევის, სისტემურ ანალიზისა და მართვის ობიექტების მოდელირების, სწავლების აქტიური მეთოდებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების აქტუალური პრობლემების სრულყოფის ხაზით.

3. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა შეიმუშაოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიის რეკომენდაციების საფუძველზე და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდურ საბჭოებთან შეთანხმებით კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ სალექციო მუშაობისა და პრაქტიკულ მეცადინეობათა რაციონალურ შეხამებას კონკრეტული სიტუაციების ანალიზისათვის, და ითვალისწინებენ მსმენელთა მიერ ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების, მართვის პროცესთა მოდელირების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ათვისებას და გამოსაშვები სამუშაოს შესრულებას, და წარუდგინოს ეს გეგმები და პროგრამები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

4. დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში კვალიფიკაცია უნდა აიმაღლონ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელებმა — მინისტრების მოადგილეებმა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეებმა, სამმართველოთა უფროსებმა, მათმა მოადგილეებმა და სამინისტროების განყოფილებათა გამგეებმა, მსხვილ გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა და მათმა მოადგილეებმა, მსხვილი საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, მსხვილი კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, აგრეთვე მათმა რეზერვმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ თანამდებობათა კონკრეტული სია, რომლებმაც კვალიფიკაცია უნდა აიმაღლონ აღნიშნულ ინსტიტუტში.

5. დაწესდეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში სწავლების ვადა:

— მინისტრების მოადგილეებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეებისათვის — 1,5 თვე სამუშაოსაგან მოწყვეტით;

— დანარჩენი კატეგორიების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის — 2 თვე სამუშაოსაგან მოწყვეტით.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება მოეწყოს პერიოდულად ექვს წელიწადში ერთხელ.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის შენახვის ხარჯები გაწეულ იქნეს კადრების მომზადებისათვის სამინისტროებისა და უწყებების სახსრებიდან, აგრეთვე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს 1980 წელს კადრების მომზადებისათვის განკუთვნილ ასიგნებათა ხარჯზე და გადასცეს საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად 210 ათასი მანეთი.

8. დაწესდეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში ერთი მსმენელის სწავლის ფული თვეში 150 მანეთის ოდენობით.

სამინისტროებმა და უწყებებმა გადაურიცხონ აღნიშნულ ინსტიტუტს სწავლის ფული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

12. ნება დაერთოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტს აუნაზღაუროს შტატიან შემთავსებლებს — უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებსა და მასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო დაწესებულებების სპეციალისტებს, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების მუშაკებს შრომა 0,25 და 0,5 საშტატო განაკვეთის ოდენობით სასწავლო მუშაობის მოცულობის შესაბამისად.

13. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დამთავრებამდე ნება დაერთოთ აღნიშნულ ინსტიტუტში მსმენელთა გამგზავნ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს სასტუმროში ან საერთო საცხოვრებელში ადგილების საფასური აანაზღაურონ თავიანთ ხარჯზე.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტს საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დამთავრებამდე 30 ადგილი სასტუმრო „საქართველოში“.

14. შეუნარჩუნდეთ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მსმენელებს კვალიფიკაციის ამაღლების დროისათვის საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე.

16. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს 1980 წელს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის დაპროექტება.

17. დაწესდეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის რიცხოვნობა შემდეგი თანაფარდობით: ერთი მასწავლებელი ხუთ მსმენელზე.

18. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის სტრუქტურა და დროებითი საშტატო განრიგი, № 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში განიხილოს და დაამტკიცოს დებულება სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის შესახებ.

19. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს 1980 წლის იანვრიდან სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიის ხელშეწყობით სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების შესაბამის ცენტრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი მოთავსდეს საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის შენობაში.

აღნიშნული შენობის განთავისუფლებამდე სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი მოთავსდეს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციისა და მართვის პრობლემათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან ერთად შენობაში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტს უკავია, ჩიტაძის ქუჩაზე № 6-ში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა ერთი თვის ვადაში გაათავისუფლოს აღნიშნული ფართობი, გარდა ჰოლოგრაფიის ლაბორატორიისათვის გათვალისწინებული ორი ცოკოლის სართულისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტს აღნიშნული შენობიდან გასაყვანი ლაბორატორიებისა და განყოფილებების დაბინავებაში.

21. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის ფუნქციონირება დაიწყოს 1979 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო მსმენელთა სწავლება ამ ინსტიტუტში — 1980 წლის 1 სექტემბრიდან.

16363

ამასთან დაკავშირებით გაგრძელდეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ფუნქციონირება 1980 წლის 1 სექტემბრამდე.

22. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ შექმნას სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის, პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და ორგანიზაციისა და მართვის პრობლემათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისათვის საზოგადოებრივი კვების კომბინატი.

23. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამონახოს ტექნიკური შესაძლებლობა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში მთავრობის ავტომატური ტელეფონის სადგურის 2 ტელეფონის, საქალაქო სატელეფონო სადგურის 15 ტელეფონის დასადგმელად და ინსტიტუტში შინაგანი სატელეფონო კავშირის მოსაწყობად.

24. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მოაწყოს სამედიცინო პუნქტი სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში.

25. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1980 წელს რეზერვში იქონიოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტისათვის 4 ბინა რესპუბლიკის ფარგლებს გარედან მოწვეულ თანამშრომელთა უზრუნველსაყოფად.

26. შეტანილ იქნეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორის თანამდებობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ნომენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლატურაში, ხოლო პრორექტორებისა და სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილების უფროსის თანამდებობანი — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ნომენკლატურაში.

შეტანილ იქნეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორის, პრორექტორებისა და სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილების უფროსის თანამდებობანი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს მიერ მომსახურებულ თანამდებობათა ნომენკლატურის სიაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 თებერვლის № 161 დადგენილებით (რექტორისათვის — № 1 და 3 დანართები, პრორექტორებისა და სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილების უფროსისათვის — № 4 დანართი).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი 1979 წ. 19 დეკემბერი, № 831.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 931 დადგენილების დანართი № 1

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტისა

I. რექტორატი
II. სამეცნიერო საბჭო
III. სასწავლო განყოფილება
   ა. კათედრები:
   1. სახალხო მეურნეობის მართვის კათედრა
   2. სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვისა და ფინანსების კათედრა
   3. მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კათედრა
   4. გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა
   ბ. უცხო ენის დაჩქარებული სწავლების ლაბორატორია
IV. სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილება
   ა. სექტორები:
   1. სასწავლო და მეთოდიკური მუშაობის სექტორი
   2. სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სექტორი
   3. კადრების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ქსელის მუშაობის ანალიზის სექტორი
   ბ. კინოფოტოლაბორატორია
   გ. ბიბლიოთეკა
V. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა განყოფილება
   1. გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორია
   2. სწავლების საშუალებათა ლაბორატორია
VI. სისტემურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
   ა. სექტორები:
   1. ოპერაციების კვლევისა და სისტემური ანალიზის სექტორი
   2. მართვის ობიექტების მოდელირების სექტორი
   3. აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ ქსელში სწავლების აქტიური მეთოდების სრულყოფის სექტორი
   ბ. ხელმძღვანელის საქმიან თვისებათა შესწავლის მეთოდების ჯგუფი
VII. სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება
VIII. კადრების განყოფილება
IX. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 831 დადგენილების დანართი № 2

დროებითი საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტისა

მომსახურე პერსონალი	ერთეულების რაოდენობა
I. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და მომსახურე პერსონალი	
რექტორი	1
პროპექტორი სასწავლო მუშაობის დარგში	1
პროორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში	1
პროორექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაობის დარგში	1
სწავლული მდივანი	1
უფროსი ეკონომისტი	1
მთავარი ბუღალტერი	1
ბუღალტერი	
მოლარე-მოანგარიშე	1
კანცელარიის გამგე	1
პირველი კატეგორიის სტენოგრაფისტი	1
პირველი კატეგორიის მემანქანე	2
კადრების უფროსი ინსპექტორი	1
სპეცმუშაობის ინსპექტორი	1
არქივის გამგე	1
სამნეო ნაწილის გამგე	1
საწყობის გამგე	1
დამლაგებელი	12
II. პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალი	
სასწავლო განყოფილების გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	1
სასწავლო ნაწილის მდივანი	1
სახალხო მეურნეობის მართვის კათედრა	
კათედრის გამგე	1
დოცენტი	2
უფროსი მასწავლებელი	1
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის კათედრა	
კათედრის გამგე	1
დოცენტი	2
უფროსი მასწავლებელი	1
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულების რაოდენობა
მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კათედრა	
კათედრის გამგე	1
დოცენტი	1
უფროსი მასწავლებელი	1,5
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა	
კათედრის გამგე	1
დოცენტი	1
უფროსი მასწავლებელი	1.5
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
უცხო ენის დაჩქარებული სწავლების ლაბორატორია	
ლაბორატორიის გამგე	1
უფროსი მასწავლებელი	2
უფროსი ლაბორანტი	2
III. სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილება	
სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილების გამგე	1
მეთოდისტი	1
სასწავლო და მეთოდიკური მუშაობის ორგანიზაციის სექტორი	
სექტორის გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	5
მეთოდისტი	2
სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სექტორი	
სექტორის გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	2
მეთოდისტი	1
კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ქსელის მუშაობის ანალიზის სექტორი	
სექტორის გამგე	1
უფროსი მეთოდისტი	3
მეთოდისტი	1
კინოფოტოლაბორატორია	
ლაბორატორიის გამგე	1
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	1
ბიბლიოთეკა	
უფროსი ბიბლიოთეკარი	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურე პერსონალი	ერთეულების რაოდენობა
IV. სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება	
სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების გამგე	1
უფროსი რედაქტორი	2
ტექნიკური რედაქტორი	2
უფროსი კორექტორი	1
ოპერატიული პოლიგრაფიის ქვედანაყოფის გამგე	1
უბნის უფროსი ოსტატი	1
უფროსი ინჟინერი	1
V. სწავლების ტექნიკურ საშუალებათა განყოფილება	
სწავლების ტექნიკურ საშუალებათა განყოფილების გამგე	1
გამოთვლით სამუშაოთა ლაბორატორიის გამგე	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	1
ტექნიკოსი	1
სწავლების საშუალებათა ლაბორატორიის გამგე	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერი	1
ტექნიკოსი	1
VI. სისტემურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (აფინანსებს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი)	
ლაბორატორიის გამგე	1
ოპერაციების კვლევისა და სისტემური ანალიზის სექტორი	
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
ლაბორანტი	1
მართვის ობიექტების მოდელირების სექტორი	
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
ლაბორანტი	1
კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ ქსელში სწავლების აქტიური მეთოდების სრულყოფის სექტორი	
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
ლაბორანტი	1
ხელმძღვანელის საქმიან თვისებათა შესწავლის მეთოდების ჯგუფი	
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	2
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი	2

სულ ინსტიტუტში: სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გარდა — 102 **საშტატო ერთეული,** ლაბორატორიითურთ — 122 **საშტატო ერთეული.**

67 საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) შესახებ, მიღებული საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების პირველი რესპუბლიკური კონფერენციის მიერ 1979 წლის 25 აგვისტოს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 13 ივნისის № 411 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 17 დეკემბერი, № 813

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1979 წლის 17 დე-
კემბრის № 813 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სსრ მეგაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც მიზანდასახულად წარმართავს და კოორდინაციას უწევს მეგაღეობის ამხანაგობათა საქმიანობას.

საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) თავისი პრაქტიკული საქმიანობით, ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, აგრეთვე საქართველოს მეგაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების კონფერენციის წინაშე.

2. საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულებებით და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებებით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

3. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ძირითადი ამოცანაა იზრუნოს მებაღეობის ამხანაგობათა შექმნის, ორგანიზაციისა და ამ ამხანაგობებისათვის გამოყოფილი კოლექტიური ბაღების დაპროექტებისა და განაშენიანებისათვის, უხელმძღვანელოს მათს საექსპლუატაციო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, უზრუნველყოს, რომ მებაღეობის ამხანაგობები ზუსტად იცავდნენ მოქმედ კანონმდებლობას.

4. ძირითადი ამოცანების შესაბამისად საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი):

ა) ზომებს იღებს მებაღეობის ამხანაგობათა მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და წესდებების მოთხოვნების დაცვისათვის;

ბ) მიწის ნაკვეთების დაგეგმარების, გზების, ელექტროქსელის, არხების, წყალსადენების, საერთო სარგებლობის ნაგებობების, ტიპობრივი საბაღე სახლებისა და სხვა დამხმარე ნაგებობების დაპროექტების შესასრულებლად ადგენს დასაბუთებებს სათანადო ორგანიზაციებში ლიმიტების გამოსაყოფად და აძლევს დაკვეთებს საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად;

გ) ეხმარება მებაღეობის ამხანაგობებს არსებული პროექტების მიხედვით საერთო სარგებლობის ნაგებობებისა და ინდივიდუალური მშენებლობის სამუშაოების შესასრულებლად მოიჯარე ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმებაში;

დ) ახორციელებს კონტროლს მშენებლობის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვადების დაცვისადმი; საჭიროების შემთხვევაში გამოდის როგორც დამკვეთი საერთო სარგებლობის დიდი ობიექტების მშენებლობის უზრუნველსაყოფად;

ე) წარუდგენს სათანადო ორგანიზაციებს წინადადებებსა და დასაბუთებებს მებაღეობის ამხანაგობათა განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში მაჩვენებლების შეტანის შესახებ;

ვ) ადგენს განაცხადებს მებაღეობის ამხანაგობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების (საშენი მასალები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მექანიზაციის საშუალებები, შხამქიმიკატები, სასუქები, ნერგები, თესლი და სხვა) უზრუნველსაყოფად, მონაწილეობს მათს განაწილებასა და რეალიზაციაში;

ზ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ეწევა ფართო პროპაგანდას რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და აგრონომიული და ზოოვეტერინარული წესების დაცვისათვის;

თ) რეკომენდაციას აძლევს სათანადო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, რომ საბაღე სახლების მშენებლობისა და საბაღე ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის გამოიყენონ ბანკის კრედიტები, ხოლო გზების, წყალსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენის, ელექტრიფიკაციისა და კეთილმოწყობის სხვა სამუშაოების შესასრულებლად — სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები;

ი) მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს მებაღეობის ამხანაგობებს საქმის წარმოების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ოპერატიულ-სტატისტიკური ანგარიშგების, საგეგმო-საფინანსო საქმიანობის ერთიანი სისტემის დასანერგავად, ამარაგებს მათ სათანადო ბლანკებითა და ამხანაგობის წევრობის ერთიანი ნიმუშის მოწმობებით;

კ) სამინისტროებიდან, უწყებებიდან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისა და პროფკავშირთა კომიტეტებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს მებაღეობის ამხანაგობათა ორგანიზაციის სისტემის ეფექტიანობის ანალიზს და ამ ამხანაგობათა შემდგომი განვითარების პერსპექტივების დამუშავებას;

ლ) ამოწმებს მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობას, განიხილავს მასალებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესახებ, იღებს ზომებს მათ გამოსასწორებლად, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს განსახილველად საკითხები შესაბამისი რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებში, სამინისტროებში, უწყებებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში.

მ) აძლევს დასკვნას სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მებაღეობის ამხანაგობის რეგისტრაციისათვის წარდგენილი წესდების შესახებ;

ნ) შედის წინადადებით სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მებაღეობის ამხანაგობის გამგეობისა და საერთო კრების მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და რეგისტრირებულ წესდებას;

ო) განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით სხვა საკითხებს, მათ შორის მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს, რომლებიც შეეხება მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობას.

II. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) იურიდიული წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

5. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) იურიდიული წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მებაღეობის ამხანაგობები. გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭოს იურიდიულ წევრად შესვლის შესახებ მიიღება მებაღეობის ამხანაგობათა წევრების საერთო კრების მიერ.

6. ამხანაგობის იურიდიულ წევრად მიღება ხდება საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) მიერ.

7. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) იურიდიულ წევრებს ევალებათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. იურიდიული წევრები ყოველწლიურად იხდიან საწევრო შესატანს, რომლის ოდენობასა და ვადებს განსაზღვრავს საკოორდინაციო საბჭო (აგროკოპი), ხოლო შემდგომ დაადგენენ მებაღეობის ამხანაგობების წევრთა საერთო კრებები.

III. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპის) სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

9. მებაღეობის ამხანაგობათა მართვის უმაღლესი ორგანოა მებაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც მოიწვევა 5 წელიწადში ერთხელ.

წარმომადგენლებს რესპუბლიკურ კონფერენციაზე ირჩევს მებაღეობის ამხანაგობის საერთო კრება.

10. მებაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების რესპუბლიკური კონფერენცია:

ა) ამტკიცებს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპის) დებულებას, აგრეთვე ცვლილებები შეაქვს მასში და შეავსებს მას;

ბ) ირჩევს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპს) და სარევიზიო კომისიას, რომელთა წევრების რაოდენობას დაადგენს კონფერენცია;

გ) განიხილავს და ამტკიცებს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპის) და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

დ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც შეაქვს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპს);

ე) კონფერენციის მოწვევის დრო, ადგილი, წარმომადგენლობის ნორმები და დღის წესრიგი დადგინდება და ცხადდება არა უგვიანეს სამი თვისა კონფერენციამდე. კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული წარმომადგენლების სულ ცოტა ორი მესამედი;

ვ) საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპის) ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით და ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

11. საკოორდინაციო საბჭო (აგროკოპი):

ა) არის მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის ხელმძღვანელი ორგანო კონფერენციებს შორის პერიოდში, მისი სხდომები მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც;

ბ) ხელმძღვანელობს მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობას, ახორციელებს კონფერენციის გადაწყვეტილებებს, კონტროლს უწევს საბჭოს დებულების შესრულებას;

გ) თავის წევრებიდან ირჩევს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპის) თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, გამგეობას და გამგეობის წევრებს იმ რაოდენობით, რასაც თვითონვე განსაზღვრავს. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოპის) თავმჯდომარეს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

დ) იწვევს მებაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების კონფერენციებს და ადგენს მათზე წარმომადგენლობის ნორმებს, მოწვევის დროსა და ადგილს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) განიხილავს და ამტკიცებს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) საშტატო განრიგს, ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

ვ) განიხილავს და წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც შეაქვს გამგეობას;

ზ) სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით და პასუხს აგებს თავისი ვალდებულებებისა და ვალებისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

12. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა მისი გამგეობა. იგი მთელ თავის მუშაობას წარმართავს მებაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების კონფერენციისა და საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, ამტკიცებს სამუშაო გეგმებს და კონტროლს უწევს მის შესრულებას.

13. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს საბჭოსა და მისი გამგეობის მუშაობას, ახორციელებს მათს გადაწყვეტილებებს.

საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) თავმჯდომარე, ხოლო ადგილზე არყოფნისას მისი დავალებით ერთ-ერთი მოადგილე განსაკუთრებული რწმუნების უქონლად განაგებს საბჭოს სახსრებს, ხელს აწერს ვალდებულებებსა და ფულად დოკუმენტებს, გასცემს რწმუნებებს, კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საშტატო მუშაკებს, გამოდის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) წარმომადგენლად ყველა დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციასა და სასამართლოში.

IV. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) სარევიზიო კომისია

14. სარევიზიო კომისიას ირჩევს საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა წარმომადგენლების რესპუბლიკური კონფერენცია იმ პირთაგან, რომლებიც საბჭოს შემადგენლობაში არ შედიან.

15. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

16. სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) და მისი გამგეობის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, მათ მიერ სახარჯთაღრიცხვო და საშტატო დისციპლინის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) აპარატში საქმეთა მსვლელობის ვადებსა და სისწორეს, შემოწმების შედეგებს აცნობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

V. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) სახსრები

17. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) სახსრები შედგება მებაღეობის ამხანაგობათა შენატანებისაგან, რომლებიც ჩაირიცხება საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ანგარიშზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ლიკვიდაციის წესი

18. საკოორდინაციო საბჭო (აგროკოოპი) თავის საქმიანობას წყვეტს წარმომადგენელთა კონფერენციის დადგენილებით ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებით.

19. საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის) ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება გამოიყენება იმ წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-40 მუხლით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

68 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომის განყოფილების შესახებ,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1979 წ. 2 ნოემბერი, № 741

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 2 ნოემბრის № 741 დადგენილებით

დებულება

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომის განყოფილების შესახებ

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომის განყოფილება არის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისევე საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს.

შრომის განყოფილება ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალაქის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას შრომისა და შრომითი რესურსების გამოყენების დარგში.

2. შრომის განყოფილების მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— გამოავლინოს და გამოიყენოს შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები მისი ორგანიზაციის, ნორმირებისა და პირობების გაუმჯობესების საფუძველზე; ხელი შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას;

— სახელმწიფო კონტროლი გაუწიოს მუშახელის გამოყენებას, საწარმო-ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესაბამისობის შრომის გეგმასთან, კადრების დენადობის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე საექსპლუატაციოდ გადასაცემ საწარმოთა უზრუნველყოფას მუშათა კადრებით;

— შეიმუშაოს და განახორციელოს შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მოსახლეობის რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფის, მისი შრომითი მოწყობის ღონისძიებანი და ინფორმაცია მუშა-მოსამსახურეებზე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოთხოვნილების შესახებ;

— მოახდინოს მუშახელის განაწილებისა და გადანაწილების რეგულირება წარმოების მოთხოვნილებათა შესაბამისად; განახორციელოს მუშათა ორგანიზებული შეგროვება;

— კონტროლი გაუწიოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას შრომის, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე, წარუდგინოს შესაბამისი წინადადებანი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

3. შრომის განყოფილება წყვეტს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოების, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით და მათთან ურთიერთმოქმედებით. განყოფილებაში შრომისა და შრომითი რესურსების გამოყენების ძირითადი საკითხების განხილვისას მონაწილეობენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების, პროფკავშირთა კომიტეტების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წევრი მომადგენლები.

4. შრომის განყოფილება მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— მოამზადებს წინადადებებს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების პროექტებისათვის შრომის ნაყოფიერებისა და მეცნიერული ორგანიზაციის, შრომითი რესურსების ბალანსისა და მუშახელზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფის წყაროების, წარმოებაში კადრების მომზადების ნაწილში, მონაწილეობას მიიღებს ამ გეგმების განხილვაში და წარუდგენს მათ გამო დასკვნებს შესაბამის საგეგმო ორგანოებს;

— განახორციელებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოებთან და განყოფილებებთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად შესაბამისი პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით მუშაობას შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოსავლენად (მისი ორგანიზაციის, ნორმირებისა და პირობების გაუმჯობესება, სამუშაო დროისა და მოწყობილობის უფრო სრულად გამოყენება, სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, შრომის დისციპლინის განმტკიცება);

— განახორციელებს მუშაობას ქალაქში შრომითი რესურსების მდგომარეობის შესაფასებლად და ამის საფუძველზე მოამზადებს წინადადებებს სახალხო მეურნეობაში მათი რაც შეიძლება მიზანშეწონილი გამოყენების, საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაციონალური დასაქმების შესახებ;

— მონაწილეობას მიიღებს ახალ საწარმოთა განლაგების, მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გეგმების პროექტების, ქალაქის განვითარების გენერალური სქემებისა და რაიონული დაგეგმარების სქემების განხილვაში, გასცემს მათ გამო დასკვნებს არსებული შრომითი რესურსების და მათი რაც შეიძლება სრულად და რაციონალურად გამოყენების გათვალისწინებით; აღმასკომის საგეგმო კომისიასთან ერთად განიხილავს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილ გეგმებსა და ღონისძიებებს უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი ობიექტებისა და მოქმედი საწარმოების კადრებით უზრუნველსაყოფად, საჭირო შემთხვევებში გაუწევს მათ დახმარებას მუშახელით დაკომპლექტების საქმეში;

— საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, სახელმწიფო კონტროლს გაუწევს მუშახელის გამოყენებას, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესაბამისობას შრომის გეგმასთან, კადრების დენადობის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე საექსპლუატაციოდ გადასაცემ საწარმოთა უზრუნველყოფას მუშათა კადრებით, შეიტანს წინადადებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ;

— ორგანიზაციას გაუწევს და სრულყოფს მუშაობას მოსახლეობის შრომითი მოწყობისათვის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, განახორციელებს საინფორმაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცნობარო მუშაობას არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ, მიიღებს ზომებს ამ მუშაობაში კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე საშუალებათა გამოსაყენებლად, განახორციელებს დადგენილი წესით მუშაობას საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისათვის, აგრეთვე კონტროლს გაუწევს მის გამოყენებასა და შენარჩუნებას წარმოებაში, განახორციელებს ხელმძღვანელობას მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების საქმიანობისადმი;

— შეიმუშავებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამის განყოფილებებთან და სამეურნეო ორგანოებთან ერთად და წარუდგენს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს მუშათა ორგანიზებული შეგროვების გეგმების პროექტებს;

— განახორციელებს და სრულყოფს მუშაობას მუშათა ორგანიზებული შეგროვებისათვის, კადრებზე საწარმოთა და ორგანიზაციათა მოთხოვნილების და მათი მიღებისათვის მზადყოფნის გათვალისწინებით, კონტროლს გაუწევს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომ შეუქმნან ორგანიზებული შეგროვების წესით გაგზავნილ მუშებს საჭირო საწარმოო, საბინაო-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობები და მისცენ მათ დაწესებული შეღავათები;

— კონტროლს გაუწევს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პერსპექტიული და წლიური გეგმების შემუშავებასა და შესრულებას, მათ მიერ შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და მისი ნორმირების სფეროს გაფართოების, ღონისძიებათა განხორციელებას, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენებას, ცენტრალიზებული წესით შემუშავებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას, აგრეთვე შრომითი დანახარჯების მოქმედი ნორმების დროულად გადასინჯვას;

— შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად კონტროლს გაუწევს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მომუშავეთა შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებასა და შესრულებას, აგრეთვე მძიმე სამუშაოებთან და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებთან დაკავშირებით მათთვის შეღავათებისა და კომპენსაციის მიცემის სისწორეს;

— კონტროლს გაუწევს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმების შემუშავებასა და შესრულებას;

— მონაწილეობას მიიღებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და საგეგმო კომისიასთან ერთად შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების დაგეგმვის პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებაში;

— პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელებს მუშაობას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის;

— შეისწავლის და განაზოგადებს მოწინავე გამოცდილებას შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მისი ნაყოფიერების ამაღლების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი რესურსების გამოყენების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, შეიტანს წინადადებებს ამ გამოცდილების გავრცელების შესახებ.

5. დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად შრომის განყოფილებას უფლება ეძლევა:

— შეამოწმოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობა, მისცეს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი შემოწმების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს წინადადებანი დაშვებულ დარღვევებში დამნაშავე ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ; მიიზიდოს შემოწმებათა ჩასატარებლად საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტები;

— წარუდგინოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს ან საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს წინადადებანი აღმასკომის სამმართველოთა და განყოფილებათა იმ ბრძანებებისა და ინსტრუქციების, აგრეთვე ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან შრომის კანონმდებლობას;

— მოისმინოს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ხელმძღვანელთა ანგარიშები და მოხსენებანი შრომის განყოფილების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

— მიიღოს ქალაქის საგეგმო და სტატისტიკური ორგანოებისაგან, აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოებისაგან, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან საგეგმო, საანგარიშგებო და სტატისტიკური მასალები შრომის, შრომითი რესურსების, მუშახელის გამოყენების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე, შრომითი რესურსების საგეგმო და საანგარიშგებო ბალანსები და სხვა მასალები, რაც სჭირდება შრომის განყოფილებას მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

— მიიღოს საწარმოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან დაწესებულ ვადებში და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით შეტყობინებანი არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანტური თანამდებობების შესახებ, აგრეთვე დადასტურებანი შრომის ორგანოების მიერ გაგზავნილ მოქალაქეთა სამუშაოდ მიღების შესახებ;

— მოიწვიოს დადგენილი წესით თათბირები, მოაწყოს, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის გამოფენები შრომის ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

6. შრომის განყოფილების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობათა შესასრულებლად დაუბრკოლებლივ შევიდნენ დადგენილი წესით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, დაათვალიერონ საწარმოო, სამსახურებრივი და საბინაო საყოფაცხოვრებო სადგომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, გაეცნონ საანგარიშგებო, სტატისტიკურ და სხვა დოკუმენტებსა და მასალებს შრომის განყოფილების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

7. შრომის განყოფილების დებულება, მისი ბიუჯეტი, სტრუქტურა და რიცხოვნობა მტკიცდება დადგენილი წესით.

8. შრომის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებიო, ინსტრუქციებით, განმარტებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

9. შრომის განყოფილება დროულად და ყურადღებით განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, წინადადებებს, განცხადებებს, საჩივრებს, აღწევს ამ წერილებში აღძრული იმ საკითხების სწორად გადაწყვეტას, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.

10. შრომის განყოფილებას სათავეში უდგას გამგე, რომელიც ინიშნება დადგენილი წესით.

11. შრომის განყოფილების გამგე პასუხს აგებს განყოფილებისათვის დაკისრებული ამოცანებისა და დავალებათა შესრულებისათვის, განსაზღვრავს განყოფილების გამგის მოადგილის, განყოფილებისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, გამოსცემს განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებების, აგრეთვე საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და განმარტებების საფუძველზე და შესასრულებლად, დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან განყოფილების აპარატის მუშაკებს, განაგებს სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

12. შრომის განყოფილება არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 593 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობის, აგრეთვე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა და დაწესებულებათა სათბობით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს 1980 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირს მოსახლეობის სათბობით მომარაგება, ხოლო საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს — კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მაგარი სათბობით მომარაგება იმ სამინისტროთა და უწყებათა მიერ წარმოდგენილი განაწილების მიხედვით, რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფება განაცხადის წარმომდგენი საწარმო ან დაწესებულება.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ 1979 წლის ბოლომდე დადგენილი წესის შესაბამისად გადასცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქკომუნსათბობის“ მმართველობის აპარატი და მის დაქვემდებარებაში მყოფი თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, ზესტაფონისა და ხაშურის ქალაქსათბობები ხელფასის ფონდით, ძირითადი საშუალებებითა და სასაწყობო მეურნეობებით.

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 ნოემბრის № 593 დადგენილების №№ 2, 3, 4, 5 და 6 პუნქტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 6 დეკემბერი. № 788

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 მცხეთის რაიონის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან თბილისის პირველი მაისის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში ორგანიზაცია-დაწესებულებების, დასახლებული პუნქტების გადაცემისა და მცხეთის რაიონის სოფ. მწვანემშენის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და ამის შესაბამისად:

— გადაეცეს მცხეთის რაიონის ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი თავისი დასახლებით, ამავე ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლება და საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ საცდელ-სარემონტო მექანიკური ქარხნის დასახლება;

— გაუქმდეს მცხეთის რაიონის სოფ. მწვანემშენი ქ. თბილისთან მისი ტერიტორიულად შეზრდის გამო.

2. დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიწების გადაცემა ქალაქ თბილისისათვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიიღოს ბრძანებულება ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 7 დეკემბერი, № 804

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი ხეებისა და ბუჩქნარების უკანონო ჭრით და გარეული ცხოველების უკანონო მოპოვებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 ივლისის № 546 დადგენილებით საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი გარეული ცხოველების, ხეებისა და ბუჩქნარების დაცვის გაუმჯობესებისა და იმ პირთა მატერიალური პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, რომელნიც ზიანს მიაყენებენ გადაშენების გზაზე მდგომ ფლორასა და ფაუნას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1980 წლის 1 იანვრიდან იმ გადასახდევინებელი ზარალის ოდენობის გამოანგარიშების თანდართული ნიხრები, რაც მოქალაქეების ან თანამდებობის პირების მოქმედებით მოუვიდა სახელმწიფო სატყეო და სამონადირეო ფონდს იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი ძვირფასი სახეობის ხეებისა და ბუჩქნარების უკანონო ჭრითა და გარეული ცხოველების უკანონო მოპოვებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილების № 3 დანართის 26-ე პუნქტი ნიამორის, ირმის, ჯეირნის (ქურციკი), წავის, დურაჯის, კავკასიური როჭოს და გნოლის უკანონო მოპოვებით სამონადირეო ფონდისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 17 დეკემბერი, № 814

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 17 დეკემბრის № 814 დადგენილების დანართი № 1

ნ ი ს ტ ი

იმ გადასახდევინებელი ზარალის ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეების ან თანამდებობის პირების მოქმედებით მოუვიდა სახელმწიფო სამონადირეო ფონდს იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგომი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ „წითელ წიგნში" შეტანილი გარეული ცხოველების მოპოვებით

გარეული ცხოველების დასახელება	გადასახდევინებელი თანხის ოდენობა თითო სულზე (მანეთი)
ძუძუმწოვრები	
კავკასიური ირემი, ნიამორი	1000
ჭურციკი (ჯეირანი)	500
ჯ ი ქ ი	500
კავკასიური ფოცხვერი, ზოლებიანი აფთარი	100
წავი, კავკასიური წაულა, ჭრელტყავა	100
ამიერკავკასიური ზაზუნა	20
ფრინველები	
დურაჯი, გნოლი, კასპიის შურთხი, კავკასიური როჭო, ხონთქრის ქათამი	100
ფლამინგო	50
სავათი, სარსარაკი	60
ვარდისფერი ვარხვი, ხუჭუჭა ვარხვი	150
ოშხვარი	100
მთის არწივი, ველის არწივი, თეთრკუდა ფსოვი, ბატკანძერი (კრავიჭამია), ძერა-ბოტი, შევარდენი	50
ბარი (გავაზი)	15
ქვეწარმავლები	
ველის მახრჩობელა, გრძელფეხა სცინკი, სირიული მყვარი, კავკასიური სალამანდრა	50
თევზები	
ატლანტური ზუთხი	100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 17 დეკემბრის № 814 დადგენილების ღანართი № 2

ნ ი ხ რ ი

ანაზღაურების რაოდენობის დადგენისა იმ ზარალისათვის, რომელსაც საწარმოები, ორგანიზაციები (მათ შორის კოლმეურნეობები), უწყებები და მოსახლეობა უკანონო ჭრით მიაყენებენ სახელმწიფო ტყის ფონდს იმ ხეებისა და ბუჩქების მოჭრით ან დაზიანების შედეგად დაღუპვით, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ „წითელ წიგნში"

ხის დიამეტრი ძირკვთან	ზარალის ანაზღაურების ოდენობა თითოეულ მოჭრილ ან დაზიანებულ ხეზე და ბუჩქზე (მანეთობით)
4 სმ-მდე	16
4,1 სმ-დან 8 სმ-მდე	26
8,1 სმ-დან 12 სმ-მდე	38
12,1 სმ-დან 16 სმ-მდე	54
16,1 სმ-დან 20 სმ-მდე	70
20,1 სმ-დან 24 სმ-მდე	84
24,1 სმ-დან 28 სმ-მდე	106
28,1 სმ-დან 32 სმ-მდე	124
32,1 სმ-დან 36 სმ-მდე	144
36,1 სმ-დან 40 სმ-მდე	166
დიამეტრის თითოეულ სანტიმეტრზე 40 სმ-ის ზევით	5,6
ყოველი ჯიშის თითოეულ ბუჩქზე	24

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზეხმელი ხეების უკანონო ჭრისა და ქარქცეული და ქარტეხილი ხე-ტყის თვითნებური გაზიდვის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს წინამდებარე ნიხრში მოცემული ღირებულების ნახევრით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

72 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1928 წლის 20 მარტის დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ“ (კან. კრ., 1928 წ., № 5, მუხ. 40; 1929 წ., № 13, მუხ. 139; 1934 წ., № 14, მუხ. 127),

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 23 აპრილის № 491 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში სახალხო კომისარიატების მიერ საკითხების შეტანის წესის შესახებ“ (კან. კრ., 1938 წ., № 13, მუხ. 60).

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 14 ივნისის № 1103 დადგენილება „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“.

4. „დადგენილებათა პროექტების მომზადებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს სხდომებზე მათი განხილვის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 20 მაისის № 654 დადგენილების მე-3 და მე-4 პუნქტები.

5. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მუშაობის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 ივნისის № 323 დადგენილების მე-9 და მე-10 პუნქტები.

6. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 აპრილის № 261 დადგენილების 1-ლი პუნქტი (პრეზიდიუმის შემადგენლობაში წევრთა რაოდენობის განსაზღვრის ნაწილი) და მე-2 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 17 დეკემბერი, № 816

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 აკადემიკოს გ. ვ. წერეთლის სახელობის პრემიის დაარსების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება და დაარსდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდის ხარჯზე გ. ვ. წერეთლის სახელობის ერთი პრემია 2 ათასი მანეთის ოდენობით, რომელიც მიეკუთვნება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო ნამუშევრებს აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 27 დეკემბერი, № 846.

74 კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის, აგრეთვე მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ

„კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 აგვისტოს № 814 დადგენილების, „სტიქიური უბედურებისა და სხვა არახელსაყრელი პირობების შედეგად საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დანაკარგების ანაზღაურების წესის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 ივნისის № 499 დადგენილების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 სექტემბრის № 597 დადგენილების, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1979 წლის 23 ივლისის № 27ვ-1719 წინადადების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს:

ა) თანდართული ნუსხა ღონისძიებებისა, რომლებიც დაფინანსდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის, აგრეთვე მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე;

ბ) თანდართულ ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯვის წესი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 ოქტომბრის № 613 (მე-2 პუნქტის გარდა) და 1978 წლის 11 დეკემბრის № 715 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 29 დეკემბერი, № 853.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 29 დეკემბრის № 853
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

ღონისძიებებისა, რომლებიც დაფინანსდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის, აგრეთვე მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე

1. სახანძრო ფარდულების, დეპოების, კოშკურების მშენებლობა, გაწყობა და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე სახანძრო კავშირის განვითარება.

2. სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შესარემონტებელი სახელოსნოების მშენებლობა და აღჭურვა.

3. სოფლად სახანძრო წყალსატევების, პირსებისა და მათთან მისასვლელი გზების მოწყობა.

4. სახანძრო ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენა და რემონტი.

5. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსთა, აგრეთვე ავტომობილების იმ მძღოლთა (მოტორისტთა) მომზადების სუბსიდირება, რომლებიც ემსახურებიან სახანძრო ტექნიკას, სასწავლო შეკრებებსა და კურსებზე გაგზავნილ პირთა სამგზავრო ხარჯებისა და დღიურების ანაზღაურების ჩათვლით, იმ წესითა და ოდენობით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოწინავე სახანძრო რაზმების, სპეციალიზებული ნებაყოფლობითი რაზმების წევრთა, მილიციის შტატგარეშე მუშაკთა, საავტომობილო ტრანსპორტისა და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის წევრთა და საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა პრემირება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მოძრაობის წესების პროპაგანდის, სახანძრო დაცვის დაყენებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების საქმეში, აგრეთვე ამ რაზმების წევრთა და სხვა პირთა პრემირება ხანძრებისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის.

7. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოების კოლექტივების პრემირება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

8. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურის მსხვილ ქვეგანაყოფებთან სასწავლო-ტექნიკური ბაზების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა და მათი აღჭურვა მოწყობილობით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროპაგანდის გაძლიერებისა და ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა ცოდნის დონის სათანადო შეფასების მიზნით.

9. სახელმწიფო ავტოინსპექციის ავტომოტოტექნიკის შესანახი გარაჟების სარემონტო სახელოსნოების, სახელმწიფო ავტოინსპექციის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის შესამოწმებელი დიაგნოსტიკური სადგურების, სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოებისათვის სამსახურებრივი სადგომების, ბავშვებისათვის საგზაო მოძრაობის წესების შესასწავლი საბავშვო ავტოქალაქების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, მათთვის პედალიანი ველოსიპედებისა და ელექტრომობილების, საჭირო მოწყობილობის შეძენა.

10. შეძენა:

— მოწყობილობისა სახელმწიფო ავტოინსპექციის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის შესამოწმებელი დიაგნოსტიკური სადგურებისათვის, სატრანსპორტო საშუალებათა პროფილაქტიკისა და მათში ტექნიკურ უწესივრობათა აღმოფხვრის ტექნიკური დახმარების პუნქტებისათვის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე გამოცდილების მეთოდური კაბინეტებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გამოფენებისათვის;

— სპეციალიზებული სააგიტაციო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა (საგიტაციო ავტობუსები, მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები ბგერათგამაძლიერებლებითა და რადიოკავშირის აპარატურით, მათი სათადარიგო ნაწილები და აგრეგატები), აგრეთვე აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მოწყობილობის რემონტი:

— ტრანსპორტის მოძრაობისადმი ზედამხედველობისა და ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებისათვის გამოყენებული ხელსაწყოებისა;

— მოწყობილობისა გამოცდების მისაღებად და ადგილმდებარეობაზე მომუშავე მძღოლთა შემადგენლობასთან პროფილაქტიკური მეცადინეობების ჩასატარებლად გათვალისწინებული კლასებისათვის;

— საგამოცდო აპარატებისა, მოციმციმე ფარნებისა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ადგილების მოსანიშნად;

— კინოფოტოაპარატურისა (გასანათებელი ხელსაწყოები, აგრეთვე ნეგატიური და პოზიტიური მასალების დამუშავებისათვის საჭირო ქიმიკატები და სხვა მასალები), მაგნიტოფონებისა, მეგაფონებისა, დიაპროექტორებისა, ელექტრონული საანგარიშო მანქანებისა;

— პირველი სამედიცინო დახმარების აფთიაქებისა და ინდივიდუალური პაკეტებისა სახელმწიფო ავტოინსპექციის სპეციალიზებული ტრანსპორტისათვის;

— ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ინტენსივობის გამოსაანგარიშებელი, ქუჩებისა და გზების განათების გასაზომი, გზის საფარის სისწორის, შეჭიდულობის კოეფიციენტისა და სხვა პარამეტრების განსასაზღვრავი მოწყობილობისა და ხელსაწყოებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საგზაო მოძრაობის რეგულირების აპარატურისა (ქვეითად მოსიარულეთა გამოსაძახებელი უნივერსალური მოწყობილობანი, შუქნიშნების მართვის ავტომატები და შუქნიშნები);

— გზებზე და ქუჩებში საგზაო და კლიმატური პირობების ცვლილებათა და თავისებურებათა შეტყობინების სისტემების დასადგმელი მოწყობილობისა;

— მძღოლთა მოწმობებზე ლავსან-პოლიეთილენის აფსკის გადასაკრავი ლამინატორებისა და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობების გასაფორმებელი და გასაცემი სხვა ორგტექნიკისა.

11. ახალი ტექნიკის შეძენა და დადგმა სახელმწიფო ავტოინსპექციის პოსტებზე.

12. მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რაზმების, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალიზებული ნებაყოფლობითი რაზმების წევრთა და სოფლად სახელმწიფო ავტოინსპექციის საზოგადოებრივი პოსტების წევრთა ნიშნების, მოწმობების, აგრეთვე ფორმის ტანსაცმლის დამზადება და შეძენა.

13. სახელმწიფო ავტოინსპექციისა და საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებისათვის სპეციალიზებული სააგიტაციო ავტომობილების შეძენა, გაწყობა და კაპიტალური რემონტი, რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო მიზნებისათვის და საავტომობილო გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უწესივრობის აღმოსაფხვრელად ავტომოტომოყვარულთათვის დახმარების გასაწევად.

14. წილობრივი მონაწილეობა პროფილური საზაფხულო პიონერბანაკების ორგანიზაციის დაფინანსებაში, სადაც რესპუბლიკის მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა აქტივს შეასწავლიან ბავშვთა შორის საგზაო მოძრაობის წესების პროპაგანდის განხორციელების ჩვევებს.

15. ერთდროული დახმარების მიცემა ოჯახისათვის იმ შემთხვევაში, თუ სოფლის (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის ან ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გამსვლელი რაზმის წევრი დაიღუპა ხანძრის ქრობის დროს, პრაქტიკული მეცადინეობის დროს, აგრეთვე ხანძრის ჩასაქრობად წასვლისა და უკან დაბრუნების დროს ან სოფლის (კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის (ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გამსვლელი რაზმის) წევრისათვის, თუ იგი დაინვალიდდა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მოვალეობათა შესრულებისას.

16. ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის, აგრეთვე ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა პროპაგანდა.

საგზაო მოძრაობის წესების პროპაგანდა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობა, რომელსაც ეწევიან სახელმწიფო ავტოინსპექცია და საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის წესების პროპაგანდისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში ვერტმფრინავის პატრულირების გამოყენებით.

17. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების, დიაფილმების, მაგნიტოფილმების წარმოება, რომლებიც პროპაგანდას უწევენ საგზაო მოძრაობის წესებს, მეთოდიკური რეკომენდაციების, პლაკატების, ბროშურების, სამახსოვროების, ბუკლეტების, ფურცლებისა და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა მასალების გამოცემა.

18. დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე რადიოს, ტელევიზიის, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებთან ერთად კონკურსებისა და რეიდების ჩატარება მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე, პრიზების შეძენა გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

19. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემატიკის მიხედვით სპექტაკლების დადგმა.

20. ვეტერინარული სამკურნალო დაწესებულებებისა და ლაბორატორიების, სპეციალური ვეტერინარული ავტომანქანების შესანახი გარაჟების, პირუტყვის სამარხების (ბეკერის ორმოების), აგრეთვე ვეტერინარული ობიექტების ტერიტორიის ღობეების მშენებლობა, კაპიტალური რემონტი და კეთილმოწყობა.

21. ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის შეძენა ვეტერინარული სამკურნალო დაწესებულებებისა და ვეტერინარული ლაბორატორიებისათვის.

22. ზოოვეტერინარული ქსელისათვის გამოყოფილი ავტოსადეზინფექციო დანადგარების, საგზაო ვეტერინარული ლაბორატორიებისა და ამბულატორიების, აგრეთვე პირუტყვის გადასარეკ ტრასებზე დაცვით-საკარანტინო პოსტებისათვის მოძრავი ვაგონების ჯიხურების შეძენა.

23. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კანის ბორის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შემოზიდული მასალების, აგრეთვე ცოფის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

24. ავტოტრანსპორტის ავარიების თავიდან აცილებისათვის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ანაზღაურება.

25. გასამრჯელოს მიცემა საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირისა და მისი ცალკეული წევრებისათვის მტაცებელ ნადირთა დახოცვის გამო, აგრეთვე ყველა მონადირისათვის, რომლებიც დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარებენ მგლის ტყავს.

26. პირუტყვის დაავადებათა თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა პროპაგანდა.

27. ვეტერინარული დაწესებულებებისათვის, რაიონული და საქალაქო სახანძრო ინსპექციებისათვის (რაზმებისა და ნაწილებისათვის) და სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სატრანსპორტო საშუალებების (ავტომანქანების, მოტოციკლების, ცხენებისა და ველოსიპედების) და სატრანსპორტო მოწყობილობის (საზიდრების, მარხილების, აკაზმულობის და სხვ.) შეძენა, სამეჯნო ვეტერინარულ-სანიტარიული ღობეების აღდგენა, სპეციალური ვეტერინარული ავტომანქანების კაპიტალური რემონტი და მათი სათადარიგო ნაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შეძენა, აგრეთვე ვეტერინარული მოწყობილობისა და დანადგარების — ინვენტაჟი და კაპიტალური რემონტი.

28. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

29. მოყინვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი (დაბოლოება და სხვ.).

30. სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციების სამსახურებრივი შენობების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე მათთვის სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და კაპიტალური რემონტი, მათი სათადარიგო ნაწილებისა და ელექტროგამომთვლელი მანქანების შეძენა.

31. თურქულით დაავადებული ან თურქულით დაავადების მხრივ საეჭვო ცხოველებისათვის, რომლებიც უნდა მოისპოს სახელმწიფო ვეტინსპექტორთა მითითებით, სადაზღვევო ანაზღაურებასა და შესასყიდ ფასს შორის სხვაობის გაცემა, ხოლო დაუზღვეველი ცხოველების მოსპობის შემთხვევაში — შესასყიდ ფასებში მათი ღირებულების გაცემა.

32. ციმბირის წყლულით დაავადებული ან ციმბირის წყლულით დაავადების მხრივ საეჭვო ცხოველებისათვის, რომლებიც უნდა მოისპოს რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ინსპექტორის, რაიონის ვეტერინარული სადგურისა და ქალაქის ვეტერინარულ-სანიტარიული სადგურის ვეტერინარი ექიმის, უბნის ვეტერინარული სამკურნალოს ან სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის გამგის მითითებით, აგრეთვე აღნიშნული დაავადებით დახოცილი ან იძულებით დაკლული ცხოველებისათვის (იმ პირობით, თუ დადასტურებულია ციმბირის წყლულით დაავადების დიაგნოზი), სადაზღვევო ანაზღაურებასა და შესასყიდ ფასს შორის სხვაობის გაცემა, ხოლო დაუზღვეველი ცხოველების მოსპობის, დახოცვის ან იძულებით დაკვლის შემთხვევაში — შესასყიდ ფასებში მათი ღირებულების გაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 29 დეკემბრის № 853
დადგენილებით

წ ე ს ი

იმ სახსრების ხარჯვისა, რომლებიც გამოიყოფა პირუტყვის დაავადებებისა და დახოცვის და ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხებიდან

1. „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის 1940 წლის 4 აპრილის კანონის, „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის 1967 წლის 14 ოქტომბრის კანონისა და „სტიქიური უბედურებისა და სხვა არახელსაყრელი პირობების შედეგად საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დანაკარგების ანაზღაურების წესის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 ივნისის № 499 დადგენილების შესაბამისად ხანძრების, პირუტყვის დახოცვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვის (დაზიანების), ავტომოტოტრანსპორტის ავარიების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოიყოფა სახსრები მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა 8 პროცენტის ოდენობით და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონების სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა 4 პროცენტი.

2. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის, აგრეთვე მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხები შეიტანება რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებში და გამოიყენება მხოლოდ პირუტყვის დაღუპვისა და ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისა და ავტოტრანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

3. პირუტყვის დაღუპვისა და ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანაკარგებისა და ავტოტრანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრებით დაფინანსდება ამ დადგენილების წინა დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებანი.

4. სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების სახსრების ხარჯვა კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად განხორციელდება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გეგმით დამტკიცებული კაპიტალურ დაბანდებათა საერთო-სამეურ-
ცულობის გადამეტებით.

5. სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხები გამოიყენება პირუტყვის დახოცვისა და ხანძრების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებისა და ავტომოტორანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა განსახორციელებლად უნაცვალგებო დაფინანსების წესით.

6. სახსრებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შესარემონტებელი სახელოსნოების მშენებლობისა და აღჭურვისათვის გასცემს სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა გრძელვადიანი დაკრედიტების წესის შესაბამისად 7 წლის ვადით.

7. ხანძრებისა და პირუტყვის დახოცვის (დაღუპვის) წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანაკარგებისა და ავტომოტორანსპორტის ავარიების თავიდან აცილების ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებში შეიძლება შეტანილ იქნეს სახანძრო დეპოებისა და ვეტერინარული დაწესებულებების მშენებლობის მოქმედი ტიპობრივი პროექტებით გათვალისწინებული როგორც ყველა, ასევე ცალკეულ ნაგებობათა მშენებლობა.

ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებში შეიტანება მხოლოდ იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებიც უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთებით და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

8. გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მშენებლობის ტიპობრივი პროექტების ადგილმდებარეობასთან მისასადაგებლად, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში მშენებლობის ინდივიდუალური პროექტების შესამუშავებლადაც.

9. სოფლის (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების) ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმებისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებებისათვის სახანძრო ინვენტარისა და მოწყობილობის, აგრეთვე ვეტერინარული დაწესებულებებისათვის ინსტრუმენტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სატრანსპორტო მოწყობილობის სიებს (ნუსხებს) წინასწარ შეადგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს.

10. მომავალ წელს განსახორციელებელ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გათვალისწინებული სახსრების ოდენობას თითოეული დასაფინანსებელი ობიექტისათვის კვარტალობრივი დაყოფით განსაზღვრავს მთლიანად რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიხედვით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის, აგრეთვე მოსახლეობის ქონების სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა გეგმის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ყოველი წლის პირველ კვარტალში გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად სახსრების გადარიცხვისას განხორციელდება ამ სახსრების დაზუსტება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების მიხედვით წინა წელს ფაქტიურად შემოსული სავალდებულო საგანაკვეთო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელების შესაბამისად.

12. კალენდარული წლის დამლევისათვის აუთვისებელი ანარიცხების სახსრები დარჩება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების განსაკუთრებულ ანგარიშებზე ან გამოიყენება მომდევნო წელს იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული იყო წინა წელს.

13. წინა წელს აუთვისებელი სახსრების გამოყენება მომდევნო წელს დაიშვება შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დადგენილებებით.

14. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა და სატყეო მეურნეობის ორგანოები დაინტერესებული სამმართველოებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშავებენ მოცემულ წელს გამაფრთხილებელ ღონისძიებათა გეგმას თითოეული დასაფინანსებელი ობიექტისათვის კვარტალობრივი დაყოფით და წარუდგენენ შესათანხმებლად შესაბამის საფინანსო ორგანოებს არა უგვიანეს ყოველი წლის 5 იანვრისა. სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმებში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებანი იმ ორგანოების მიერ, რომლებმაც დაამტკიცეს ეს გეგმები, შესაბამის საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით.

15. სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხები შეიტანება საქართველოს სსრ ბიუჯეტის შემოსავალში.

სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით გადაირიცხება შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში, ადგილობრივ ბიუჯეტებში ან საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებულ ვადებში.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოები სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხებიდან პირველი სამი კვარტალის კუთვნილ თანხას გადარიცხავენ იმ ოდენობით, რასაც ითვალისწინებს წლიური გეგმა ყოველი დასაფინანსებელი ობიექტისათვის კვარტალობრივი დაყოფით.

აღნიშნული სახსრები მეოთხე კვარტალში გადაირიცხება მიმდინარე წელს სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა მოსალოდნელი შემოსავლის შესაბამისად, პირველ ცხრა თვეში გადარიცხული თანხების გათვალისწინებით.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს (სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოების) მიერ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა მოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის პირველი კვარტალის შესატანების გადარიცხვისას მოხდება გადაანგარიშება წინა წელს ფაქტიურად შემოსულ გადასახდელთა შესაბამისად.

18. კალენდარული წლის დამლევისათვის დარჩენილი სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების აუთვისებელი თანხები ჩაირთვება შესაბამისი ბიუჯეტების აუთვისებელი ნაშთების საერთო თანხაში და გამოიყენება მომდევნო წელს ხანძრებისა და პირუტყვის დახოცვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების განადგურებისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა განსახორციელებლად, დაგეგმილ წელს ამ მიზნებისათვის გათვალისწინებული სახსრების გადამეტებით.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით საფინანსო ორგანოები დაადგენენ წინა წელს სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა აუთვისებელი სახსრების ნაშთებს, რომლებიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად შემოსული ანარიცხების სახსრებსა (საანგარიშო წლის დამდეგისათვის გადმოსული სახსრების გათვალისწინებით) და გაწეულ ხარჯებს შორის.

19. სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა ღონისძიებებს დააფინანსებენ საფინანსო ორგანოები სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებათა მეშვეობით.

20. სახანძრო ფარდულების, დეპოების, კოშკურების, სოფლად სახანძრო წყალსატევების, პოსტებისა და მათთან მისასვლელი გზების მშენებლობას, აგრეთვე სახანძრო ინვენტარის, ტექნიკისა და მოწყობილობის დამამზადებელი და შესარემონტებელი სახელოსნოების შექმნას დააფინანსებენ სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მისი ადგილობრივი დაწესებულებანი.

დანარჩენი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე ხორციელდება, დაფინანსდება სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა მეშვეობით.

21. სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორები დაფინანსებულ ობიექტებზე განახორციელებენ კონტროლს გამოყოფილი სახსრების სწორად ხარჯვისადმი.

აღნიშნული სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებები მოვალენი არიან შეწყვიტონ მოცემული ღონისძიების შემდგომი დაფინანსება არადანიშნულებისამებრ დახარჯული თანხების აღდგენამდე, რის შესახებაც აცნობებენ შესაბამის საფინანსო ორგანოს.

22. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები მოვალენი არიან ექვს თვეში ერთხელ შეამოწმონ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯვის სისწორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები განახორციელებენ კონტროლს იმისადმი, თუ რამდენად შეესაბამება გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დაფინანსების გეგმებში შეტანილი ობიექტები იმ ობიექტების ნუსხას, სადაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებანი სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე, ამ დადგენილების წინა დანართის თანახმად.

24. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მათი შესაბამისი ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში მოვალენი არიან წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმონ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯვის სისწორე და შედეგების მიხედვით მიიღონ სათანადო ზომები.

25. ანგარიშებს სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე განხორციელებული კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების შესახებ სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორები ყოველთვიურად წარუდგენენ შესაბამის საფინანსო ორგანოებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

26. სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე გაცემული კრედიტების განმკარგულებელნი წარუდგენენ საფინანსო ორგანოებს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6. 1979 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3

შეკვეთა № 45 უე 04340 ტირაჟი 1750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6'23/185

ეროვნული
ბიბლიოთეკა